აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №16

4 ივნისი 2004წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პარტიის/ბლოკის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესის განსაზღვრის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1.

1. მხარდამჭერთა სიის წარდგენისას პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა ან საინიციატივო ჯგუფმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება მხარდამჭერთა სიის ბლანკებისა და ხელმომწერ მხარდამჭერთა სრული რაოდენობის შესახებ.

2. საოლქო საარჩევნო კომისიის ჟურნალში რეგისტრირდება მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკებისა და ხელმომწერ მხარდამჭერთა სრული რაოდენობა და პარტიის/საარჩევნო ბლოკის ან საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ეძლევა სათანადო ცნობა.

3. მხარდამჭერთა სიების შემოწმება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) საოლქო საარჩევნო კომისია შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანმიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტისა, კომისია იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში სია მთლიანად ბათილდება და საარჩევნო სუბიექტს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით (პარტიის/ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატებს უსკო-ს მიერ) უარი ეთქმევა საარჩევნო რეგისტრაციაზე;

ბ) მხარდამწერთა სიაში ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:

ბ.ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი;

ბ.ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი,თვე, რიცხვი);

ბ.გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები);

ბ.დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამ კანონით განსაზღვრულ მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას;

ბ.ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა;

ბ.ვ) საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მხარდამჭერად შეყვანილია სხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველი;

ბ.ზ) ხელმომწერი პირი შესაბამისი კომისიისათვის წარდგენილი განცხადებით ადასტურებს, რომ ხელმოწერა შესრულებული იყო მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით და განცხადებაზე მისი ხელმოწერა დამოწმებული იყო სანოტარო წესით;

ბ.თ) არასრულად ან არასწორად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) მოწმობისა და პირადი ნომრები, მათ შორის სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტის ნომერი, სამხედრო ბილეთისა და დევნილის მოწმობის ნომერი;

გ) ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებულია იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ან რომელშიც მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, აგრეთვე ბლანკის შევსების თარიღი და დადასტურებული უნდა იყოს ამ პირის ხელმოწერით.

4. მხარდამჭერთა სიის შემოწმების პროცესზე დასწრების უფლება აქვს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ან საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს.

5. მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და უსკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ.

ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ირაკლი ფაღავა
კომისიის მდივანი	გიზო მჭედლიძე